ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №7

ქ. ლანჩხუთი **24.09.2019 წელი**
12.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: აკაკი იმნაიშვილი, იოსებ ჩხაიძე, გიორგი ჩახვაძე, ციცინო ჩხაიძე და ამირან გიგინეიშვილი.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ სხდომის ჩატარების აუცილებლობა გამოიწვია მუნიციპალიტეტის მერის მომართვამ. შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარემ ბრძანებით განსაზღვრა მოწვეულიყო საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო საკრებულოს სხდომაზე, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალე საკითხის დასამტკიცებლად მოწვეულიყო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა. სხდომას ესწრება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ბატონი როლანდ ლაშხია, რომელიც დეტალურად ისაუბრებს თუ რა ცვლილებები ხორციელდება მათ მიერ წარმოდგენილ პაკეტში.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ წარადგინა განმარტებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 21 აგვისტოს N1868 განკარგულებით განხორციელებული ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები შემცირდა 22274 ლარით, მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯზე 22009 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 265 ლარი, მრავალბინიანი სახლების სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები შემცირდა 12731,50 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე 12095 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 636,5 ლარი. აღნიშნული ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 110151 ლარი ქ. ლანჩხუთში თავისუფლების და ჭანტურიას ქუჩის კვეთაზე სტადიონის რეაბილიტაციისათვის; მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის მომართვის საფუძველზე უნდა შემცირდეს: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 6500 ლარით, ხანდაზმულ (100 და მეტი ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა 500 ლარით, ბიკარბონატული, ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა 3000 ლარით და აღნიშნულის შემცირებების ხარჯზე უნდა გაიზარდოს სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა 10000 ლარით; მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მომართვის საფუძველზე უნდა შემცირდეს ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა (ორგ.კოდი 05 03) 198 ლარით, ასევე უნდა შემცირდეს კულტურულ ღონისძიებათა პროგრამა (ორგ.კოდი 05 02 02) 5847 ლარით და შემცირების ხარჯზე უნდა გაიზარდოს განათლების ხელშეწყობის პროგრამა (ორგ.კოდი 04 03) 6045 ლარით; შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაციის შემცირების ხარჯზე უნდა გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯი 4000 ლარით; მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის 3000 ლარის შემცირების ხარჯზე უნდა გაიზარდოს შ.პ.ს ქალთა საფეხბურთო კლუბის ლანჩხუთის „ლანჩხუთი“-ს დაფინანსება 3000 ლარით; მუნიციპალიტეტის მერიის სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯის 3100 ლარის შემცირების ხარჯზე უნდა გაიზარდოს ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება 3100 ლარით სხვა საქონელი და მომსახურების მუხლში. ა(ა)იპ სპორტული ცენტრის წერილის საფუძველზე შემცირდება შრომის ანაზღაურების მუხლი 18000 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდება საქონელი და მომსახურების მუხლი (შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება) 18000 ლარით.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ სავალდებულოა საკრებულოს და კომისიის სხდომებს თანამომხსენებლად აღნიშნული სამსახურის უფროსები დაესწრონ, რომლებიც დეტალურად ახსნიან თანხების დამატების საჭიროებას, რასაც ყველა კომისიის წევრი დაეთანხმა.

კომისიის წევრი, იოსებ ჩხაიძე დაინტერესდა რა ღონისძიებებზე იყო მიმართული მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯი 4 000 ლარის ოდენობით, რაზეც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ წარმომადგენლობითი ხარჯი არის ზოგადი და გამოიყენება საჭირეობის შემთხვევაში.

კომისიის წევრმა აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ შ.პ.ს ქალთა საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის ,,ლანჩხუთი“-ს დაფინანსება კიდევ უფრო გაეზარდოთ და მეტი ყურადღება მიექცეს ქალთა ფეხბურთს, რომლებიც ძალიან წარმატებულები არიან, რაზეც კომისიის წევრმა, გიორგი ჩახვაძემ უპასუხა, რომ საქართველოს მასშტაბით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს აქვს ყველაზე დიდი დაფინანსება და მისასალმებელია თქვენი ინიციატივა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი- . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნის გათვალისწინებით.

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იმ სამსახურებს, რომელთა დაფინანსებაში შედის ცვლილებები, საკრებულოს სხდომებზე ასევე მოწვევის საფეძველზე კომისიისა და ფრაქციების სხდომებზე მოვიდნენ თანამომხსენებლად და დეტალურად განმარტონ თანხების კორექტირების საჭიროებები.

2. კომისიის წევრთა უმრავლესობის მოსაზრებით, სასურველია გაიზარდოს ზ.ბ.ს ქალთა საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის „ლანჩხუთი"-ს დაფინანსება და მეტი ყურადღება დაეთმის წარმატებული სპორტის სახეობებისა და სპორტმენების წახალისებას.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მასათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი-არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დასრულდა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მასათაძე

ქ. ლანჩხუთი 24.09.2019 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

დასკვნა №7

2019 წლის 24 სექტემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

დასკვნა:

კომისიამ მხარი დაუჭირა მერიის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის ცვლილების პროექტს და ასევე აღნიშნა, რომ დამატებით დაეცალოს:

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იმ სამსახურებს, რომელთა დაფინანსებაში შედის ცვლილებები, საკრებულოს სხდომებზე ასევე მოწვევის საფუძველზე კომისიისა და ფრაქციების სხდომებზე მოვიდნენ თანამომხსენებლად და დეტალურად განმარტონ თანხების კორექტირების საჭიროებები.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.09.2019 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11 30	
2	ციცინო ჩხაიძე	11 45	
3	გიორგი ჩახვაძე	11 55	
4	დავით ჩხარტიშვილი		
5	ამირან გოგინეიშვილი	11 50	
6	იოსებ ჩხაიძე	11 45	
7	აკაკი იმნაიშვილი	11 30	
8	ზურაბ კუკულავა		